


ლოცვეროსცურული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაჟეთი „საშურის მოამბის“ ღამატიკა
№1, 3 თებერვალი, ორშაბათი, 2025 წელი

ახალი წლის ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, IV სუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ. VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX ასწლეულის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან – მარტიდან იწყება. იანვარში ახალი წლის დღესასწაული, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა და ფეხი მოიკიდა უამრავმა წეს-ჩვეულებამ.

საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა, ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია – მოზიემეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.

ახალ წელს საქართველოში ხშირად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან პირველ იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. საახალწლოდ ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური ე.წ. „ბასილას კვერები“.

წმინდა ბასილი დიდს ახალ წელთან კიდევ ერთი სადღესასწაულო ატრიბუტი – „ქართული ნაძვის ხე“ – ჩიჩილაკი აკავშირებდა. ჩიჩილაკი ნედლი თხილის ტოტისგან ითლება და თავისივე ნათალი ჩამოუყვება ვერტიკალურად. ხალხში ჩიჩილაკს „ბასილას წვერს“ ეძახიან. ჩირითა და სუროს ფოთლებით მორთულ ჩიჩილაკს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სადღესასწაულო ხონჩაზე, რომელიც ახალი წლის ღამეს იშლებოდა. ნათლისღების წინა დღეს კი „ბასილას წვერებს“ აუცილებლად წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს.

ჩიჩილაკი დღესდღეობით ევროპიდან შემოსული ნაძვის ხის გვერდით იმკვიდრებს ადგილს და კარგავს რიტუალური ნივთის ფუნქციას. იგი ახალი წლის დეკორატიულ სამშენის ნარმოადგენს.

საინტერესო საახალწლო ტრადიციები არსებობდა თბილისშიც. დღესასწაული სახალხო მხიარულებითა და სეირნობებით, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნებოდა. ასეა დღესაც. თუმცა, დროთა განმავლობაში გაქრა რამდენიმე წეს-ჩვეულება.

ძველად, თბილისის მაცხოვრებლები ახალი წლის ღამეს სახლის კარებს ღიას ტოვებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ამ დროს შეიძლებოდა ბედნიერებას ჩამოეველო და თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, ბედნიერება სახლს გვერდს აუვლიდა. განსაკუთრებული რიტუალი უკავშირდებოდა საახალწლო სუფრასაც – ტაბლას. ტკბილეულითა და ხილით დამშვენებული ტაბლის ოთხივე კუთხეში დიასახლისის მიერ საკუთარი ხელით ჩამოსხმული სანთლები ინთებოდა. ახალი წლის შემობრძანებასთან ერთად, ოჯახის უფროსი ტაბლით ხელში მთელს სახლს შემოუვლიდა. მოზიემეებს სწამდათ, რომ ამ დროს მას თან მფარველი ანგელოზი დაჰყვებოდა, რომელსაც ოჯახისათვის კეთილდღეობა და ბარაქა მოჰქონდა.

საქართველოში ახალი წლის ტრადიცია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირია. ქართული ტრადიციის მიხედვით, თოვლის ბაბუა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი წვერ-ულვაშიანი მომღიმარი კეთილი მოხუცია, რომელსაც ხურჯინი აქვს მხარზე გადაკიდებული და ბავშვებს


საჩუქრებს ჩუქნის. საქართველოში ახალი წელი თოვლის ბაბუასთან ერთად, მეკვლესთანაც ასოცირდება. ტრადიციის მიხედვით, მეკვლევებს დიდი მონინებით ირჩევენ. იგი პირველია, ვინც ახალი წლის ღამეს პირველი შედის ოჯახში და ხვავსა და ბარაქას უსურვებს ოჯახს. ცუდი ფეხის მქონე მეკვლის სახლში შემოშვება არ არის სასურველი.

ტრადიციები და საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება.

ქართლსა და კახეთში ახალი წლისთვის ჩამიჩიან პურებს აცხობდნენ ისე, რომ ოჯახის ყოველს წვერს თითო ჩამიჩიანი პური შეხვედროდა. ახალი წლის ღამეს ყველა თავის ჩამიჩიან პურს მიირთმევდა. ჩურჩხელებს, ჩირს, მოხარშულ დედალს და ღორის თავს ჩამიჩიან პურებთან ერთად, ხახალაზე აწყობდნენ და არაყსა და ღვინოსაც მიუდგამდნენ ხოლმე. გამთენიისას ოჯახის უფროსი გარეთ გადიოდა და სახლს სამჯერ შემოუვლიდა. შინ შემობრუნებისას კი

ოჯახის წვერებს ახალ წელს ულოცავდა და საგანგებოდ მომზადებული პურიანი ჯამიდან ყველას თითო ლუკმას უდებდა პირში.

ფშავსა და ხევსურეთში არ არსებობს შობა-ახალი წელი ხინკლის გარეშე. ხევსურეთში დღესასწაულთან დაკავშირებით იხდებოდა არაყი, იხარშებოდა ლუდი, ცხვებოდა საახალწლო კვერები, რომლებზეც სხვადასხვა საგანი და ცოცხალი არსება იყო გამოსახული (ეს ტრადიცია მთელ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული). საახალწლო კვერი ცხვებოდა მეკვლისთვისაც. კვერებს ურიგებდნენ როგორც ოჯახის



წევრებს, ასევე, შინაურ ცხოველებს. ადრე ასეთი ტრადიცია იყო – ხონჩაზე დადებულ მოხარშულ ღორის თავს შემოუნყოფდნენ ბედის კვერებს და სანამ ოჯახი სუფრას შემოუსხდებოდა, ოჯახის უფროსი ეზოს შემოატარებდა ხონჩას.

გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან. სამეგრელოში ახალ წელს, დილაადრიან, ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადიოდა ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ, სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებდა, ჯამს იქვე მიუდგამდა და საახალწლო ტაბლას მიუჯდებოდა, რომელზეც ენყო ღორის თავი, ბასილა, თავისი ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დანყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებდა.“ საუზმის შემდეგ კი დაიწყებოდა თუთის წკნელებით საახალწლო მილოცვები. მორთული ჩიჩილაკითა და ცარიელი ჩაფით მარნისკენ გაეშურებოდნენ. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმამაღლა აღმოსაფხვრავად საახალწლო გობს მიწაზე დადგამდა, ჩაფს ღვინით გაავსებდა და დაჩოქილი, წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას შესთხოვდა. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებდა და წმ.ბასილას ეხვეწებოდა, რომ მისი ოჯახი ამ კაკალივით ყოველივე სიკეთით აევსო. ბოლოს, ღორის თავს აიღებდა, სანახელებს სამჯერ მიარტყამდა და ხმამაღლა იტყოდა: „აგუნა, აგუნა, მიეც ჩვენს სამშობლოს ღვინო და სხვებს ფურცელი!“ ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართებოდა და ოჯახის წევრებს ულოცავდნენ ახალი წლის შემობრძანებას.

თუშეთში ზამთრის სადღესასწაულო რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი წლის შეხვედრა, რომელსაც ხალხი თავისი ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებდა. ამიტომ, თუშეთშიც თავიანთ „წელწობას“ მონივნებით ეგებებოდნენ. საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს ხდიდნენ და ლუდს ადუღებდნენ. ოჯახებში აცხობდნენ ერთგულიან კოტორს – „ქრისტეს საგზალს“, კაცისთვის – „ბაცუკაცს“ და ქალისთვის მრგვალ კვერს. აგრეთვე, აცხობდნენ დამახასიათებელ ნიშნებთან საქონლის კვერებს. ხარისას რქები ჰქონდა, ძროხისას – ჯიქანი, ცხვრისას – დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმის იყო. ყველა ამ კვერს ხონჩაზე დაალაგებდნენ, შემოუნყოფდნენ მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებდა. დიასახლისი აცხობდა სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კერის კვერს.“

მესხეთ-ჯავახეთში დიასახლისი საღამო ჟამს შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალეები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ. „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი ზომის და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს.

სამაჩაბლოში მეკვლე აუცილებლად პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო, რათა სუფთა გულითა და ხელებით სიკეთე შეეტანა ოჯახში. მეკვლეს ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ტკბილეული და კარტოფილის ხინკლები ენყო. აქაურ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ხაჭაპურები, ხაბიზგინები, გოზინაყი და მოხარშული დედალი.

დრო გადის, ტრადიციები იცვლება და ახალ ჩვეულებებს ეყრება საფუძველი, მაგრამ ამის მიუხედავად, არ იცვლება ყველაზე მთავარი – ახალი წლისადმი სიახლის, იმედისა და სიხარულის მოლოდინი. მთავარია, მას ღიმილით შევეგებოთ, რადგან ის, რაც ნამდვილად უცვლელია და ყველა ადამიანს აერთიანებს, ეს არის რწმენა იმისა, რომ ახალი წელიწადი ყველაზე სანუკვარი სურვილების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

საიდან მოდის ნაძვის ხის, როგორც მთავარი საახალწლო ატრიბუტის იდეა?

ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია სათავეს გერმანიაში იღებს. მე-16 საუკუნეში, პროტესტანტმა რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა, შობის ღამეს, ნაძვის ხე სანთლებით მორთო. მისი იდეა მალე აიტაცეს, ჯერ გერმანიაში და შემდგომ მთელ ევროპაში. დღეს უკვე – მთელ მსოფლიოში.

რატომ მაინც და მაინც ნაძვი შეარჩია ლუთერმა? ამბობენ, სილამაზისა და მარადმწვანეობის გამო, როგორც უხსოვარი დროიდან სიცოცხლის, მარადიულობის და რწმენის სიმბოლო.

მარადმწვანე მცენარეების სიმბოლიკა ქრისტიანობამდე პერიოდშიც ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა. ძველ გერმანულ და სკანდინავიურ ტრადიციებში ნაძვი სიცოცხლის სიმბოლო იყო, რომელიც ბნელ ზამთარში გაზაფხულის იმედს აცოცხლებდა.

სხვა მარადმწვანე მცენარეების მსგავსად, შუა საუკუნეებში, ქრისტიანულ კულტურაში ნაძვი უკავშირდებოდა იმედსა და მაცხოვრის მარადიულ სიცოცხლეს. სამკუთხა ფორმის გამო საკრალური მნიშვნელობაც კი მიანიჭეს. თითქოს ქრისტიანულ სამებას აღნიშნავდა – მამას, ძესა და სულიწმინდას.

ასეთი ლეგენდაც არსებობს, თითქოს ერთ ღამეს, მარტინ ლუთერი თოვლიან ტყეში ულამაზესმა პეიზაჟმა მოხიბლა. მთვარით და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ხეებს მისტიკურ შუქში ხვევდა და ნაძვები განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. ამიტომაც, მარტინმა ნაძვი შობის ღამის სიმბოლოდ წარმოიდგინა და შინ დაბრუნებულმა, ხეზე დანთებული სანთლებით სცადა ოჯახის წევრებისთვის ჯადოსნური ღამის სილამაზე ეჩვენებინა.

საქართველოში ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა, როდესაც ევროპული კულტურული ტრადიციები ქართულ საზოგადოებაში შემოვიდა. თავიდან ნაძვის ხე ძირითადად დიდგვაროვნების ოჯახებში იდგმებოდა.

თბილისში ერთ-ერთი პირველი ნაძვის ხე 1913 წლით თარიღდება. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ფოტო, რომელზეც გერონტი ქიქოძის ქუჩაზე, ნომერ 9-ში მდებარე სახლში მორთული ნაძვია აღბეჭდილი.

საქართველოში პირველი ნაძვის ხე 1900 წელს, სოხუმში ფიქსირდება, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, რატომღაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დროშებით მორთული ყოფილა. სოხუმის მკვიდრ ინგლისელ კუპერებს თავის ვილაში დაუდგამთ ნაძვი და სანთლებით და დროშებით შეუმკიათ. სავარაუდოდ, კუპერები ევროპის სხვა ქვეყნების მოქალაქე, სოხუმში მცხოვრებ ოჯახებსაც მიიწვევდნენ სტუმრად და ნაძვზე დროშებით გამოხატავდნენ საახალწლო სურვილს, ყველას ბედნიერი წელი დადგომოდა.

ნაძვი ყველა შემთხვევაში ევროპიდან მოდის და წარმართული ფესვები აქვს.

ქრისტიანობა მთელ სამყაროში ჯერ მკაცრად ემიჯნებოდა წარმართულ ტრადიციებს, მაგრამ ბევრმა იმდროინდელმა რიტუალურმა საგანმა, ქცევამ და ელემენტმა დროთა განმავლობაში ახალი დატვირთვა მიიღო. ასე გახდა ნაძვი:

სამების სიმბოლო – ადამიანების, ძირითადად, სასულიერო პირების ინტერპრეტაციით.

მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, – ნაძვი მარადმწვანეა, რაც ქრისტეს მარადიულ ცხოვრებასთან და ხსნის იდეასთან ასოცირდებოდა.

ახალი სიცოცხლე და აღდგომა, – ნაძვის ხე თითქოს უპირისპირდება მკვდარ, ფოთოლშემოდარცვულ ბუნებას და ახალი სიცოცხლის დადგომის იმედს გამოხატავს, რაც ქრისტიანულ რწმენაში იესო ქრისტეს აღდგომას უკავშირდება.

მარტინ ლუთერის იდეა, ნაძვის სანთლებით და ვარსკვლავით მორთვა, მყისვე დაუკავშირეს შობის ღამეს, როდესაც ბეთლემის ვარსკვლავი ჩვილ იესოსთან მიუძღოდა მოგვებს.

ვიდრე ნაძვის ხე მისი მოსართავებით კომერციის ერთ-ერთი აქტიუალური საგანი გახდებოდა, ხილით და თხილით რთავდნენ. ორივე ბარაქას და ნაყოფიერებას აღნიშნავდა.




თეატრი და ბიჭები

ანწილი სულის განგაში

გასული წელს ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური დასის ნორჩმა მსახიობებმა მწერლისა და დრამატურგის ლაშა თაბუკაშვილის ყველასათვის საყვარელი და ცნობილი პიესის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე. სცენარის ავტორი და რეჟისორი „აკვარიუმის“ ხელმძღვანელი ეკატერინე ბაქრაძე გახლდათ. სპექტაკლმა ორჯერ მიიღო ჟიურის უმაღლესი შეფასება „გრანპრი“ საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე ქობულეთსა და საგარეჯოში.

„თაბუკაშვილების ხელოვანთა ოჯახში 11 წლისა მოვხვდი, რეჟისორისა და შექსპირის სონეტების ბრწყინვალედ მთარგმნელის, ბ-ნი რეზო თაბუკაშვილისა და მისი მშვენიერი მეუღლის, ქ-ნი მედეა ჯაფარიძის



ინიციატივით. პიესების წიგნიც მაშინ მისახსოვრა მათმა ვაჟმა, ბ-ნ ლაშამ და „ლექსების საგზალთან“ ერთად თეატრისადმი დიდი სიყვარულიც გამომაყოლა. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ 38 წლის შემდეგ, ლაშა თაბუკაშვილის ჰიტად ქცეულ პიესას „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ შევეჭიდებოდი, შემდეგ კი „შენკენ სავალი გზები“, – წერდა თავის სოციალურ გვერდზე ეკატერინე ბაქრაძე.

24 იანვარს კი „აკვარიუმის“ ნორჩმა მსახიობებმა ლაშა თაბუკაშვილის ადამიანური ტკივილებითა და ემოციებით სავსე პიესის „შენკენ სავალი გზები“ ინსცენირებით დაიპყრეს ხაშურის მაყურებელთა გულები, თოჯინური თეატრის დარბაზში წარმოდგენილი სპექტაკლით „ერთმანეთისკენ სავალი გზები“, რომლის სცენარი და რეჟისურა ამჯერადაც „აკვარიუმის“ ხელმძღვანელს ეკუთვნის.



ანწილი სულის განგაში! – ამ სიტყვებს იმეორებდა ჭრილობაგახსნილი გული და, მსუბუქს კი არა, ათასი ფიქრით დამძიმებულს, დგამდა ნაბიჯებს...

განა რა იყო უცხო, – პიესა? თემა? – არა, ეს გახლდათ ჩვენ მიერ განვლილ-განცდილის, როგორც ადამიანურ გრძნობათა, ასევე, ცალკეული ინდივიდისადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულების, ერთეულებისგან კი – ფაქიზი და, ამავდროულად, პოლიტიკური ნიუანსებით დაქსელილი გზა, რომელზეც მოზარდებმა ექსპრესიულად, მთელი გააზრებით გაიარეს. საუკუნის სევდა გადანვა მოცახცახე სულის მკლავებზე და თვალმა ვერ გაუძლო...



ჩაბნელებულ პარტერში მაყურებელს ახალგაზრდების მიერ გაღვივებული ნაპერწკალი სულს უწვავდა...
 ოთარ ჭილაძის სტრიქონებმა გაიელვა გონებაში:
 „სინათლის დანახვა მხოლოდ სიბნელიდან შეიძლება. რამის დანახვა თუ გინდა, ბნელში უნდა იჯდე, ხოლო, სინათლეში ყოფნა თუ გირჩევნია, აღარ უნდა დაინტერესდე, რა ხდება სიბნელეში“.
 სინათლესაც ჰქონია უფსკრული (თუმცა, დროებითი), ბნელსაც, მაგრამ ორივე რომ ერთდროულად, მოცემულ სიტუაციაში გაიაზრო და გამიჯნო, ფილოსოფიური ჭვრეტა ან დროითი

დისტანციაა საჭირო...
 „ერთმანეთისკენ სავალი გზები“ – ეს იყო სპექტაკლი მხოლოდ ოთხი ყმანვილის მონაწილეობით, მაგრამ გრძნობდი, რომ თითქოს მთელი სამყარო იდგა სცენაზე...

ოთხი გამოკვეთილი არტისტული მონაცემების მქონე ახალგაზრდა: გუჯა გოგალაძე (თენგიზი) რვა წლის მოხვდა „აკვარიუმში“ და თეატრალური სამყაროს ოკეანეში შესაცურებლად აუცილებელი ბევრი რამ შეისისხლხორცა და, უკვე ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი მსახიობის პროფესიისთვის ემზადება.
 მსახიობობა სურს გიორგი რობაქიძესაც (კახა).
 მარიამ ლონდაძეს (ირინკა) ჯერ კიდევ აქვს დრო იმის გასარკვევად, თუ რომელ სფეროში მოსინჯოს თავი.
 ელენე მულაძის (მარიამი) საოცარი ექსპრესიითა და გულწრფელი ემოციით სავსე შესრულება ნამით გაფიქრებინებს, რომ შენ წინ პროფესიონალი მსახიობი დგას.

და ეს ყველაფერი „აკვარიუმის“ სულისჩამდგმელის ეკა ბაქრაძის შრომის შედეგია, რომელმაც „თევზებს“ შემოქმედებითი სული შთაბერა და ისეთებად გამოძერწა, რომლებიც ცხოვრების დიდ ოკეანეს სწორედ იმ ფასეულობებით გაუმკლავდებიან, რომელიც „აკვარიუმში“ შეისისხლხორცეს.

3 თებერვალს „აკვარიუმი“ ბაკურიანის საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე – „ფანტელი“ მიემგზავრება.
 ღმერთმა ინებოს და „აკვარიუმის“ ნორჩი მსახიობები კვლავაც წარმატების საამო ფორიაქით დაგვიბრუნდნენ.

გაასუფთავეთ, ჩახერგილია,
 ვერ პოულობენ ერთმანეთს გზები...
 თუ სულში რწმენის ჩირაღდანია,
 უსიყვარულოდ როგორღა კვდები?!

კლარა გელაშვილი





სამყარო და მაცხოვრებლობა

2025 წელი – გარდამავალი ეპოქის დასაწყისი

კატასტროფების და კატაკლიზმების სერია, რომელიც 2025 წლის დასაწყისში მოხდა, მრავალი ადამიანის გაოცებას და შემოფოთებას იწვევს. თუ ეს მოვლენები მხოლოდ ბუნებრივი ან სოციალური პროცესების ნაწილი არ არის, მათზე შეიძლება უფრო ღრმა, ეზოთერული და მეტაფიზიკური ახსნების მოძებნა. ამ მოვლენების ახსნა სულის, კარმის და პლანეტარული ენერგეტიკის თვალსაზრისითაც არის შესაძლებელი.

ეზოთერულ ტრადიციებში 2025 წელი და, ზოგადად, 2020-2030 წლები ხშირად აღინიშნება როგორც ტრანსფორმაციისა და გავლიერების პერიოდი. ეს ათწლეული ახალი ენერგეტიკული ციკლების დასაწყისად ითვლება, რაც ბუნებრივად იწვევს ძველი სტრუქტურების დანგრევას, რათა მათ ადგილას ახალი ფორმები და სისტემა შეიქმნას.

ეს ცვლილებები ხშირად ქაოსით, კატაკლიზმებით და გაურკვეველობით იწყება, რადგან ძველი ენერგიები და სტრუქტურები წინააღმდეგობას უწევენ გარდაქმნის პროცესს.

კოლექტიური კარმა და მისი გამოძახილი

ეზოთერული მიდგომა აღნიშნავს, რომ კაცობრიობა ერთიან ენერგეტიკულ ველს წარმოადგენს, სადაც თითოეული ადამიანის ქმედება და არჩევანი გავლენას ახდენს საერთო კარმაზე. ბოლო ათწლეულებში ადამიანების ქმედებები ბუნების წინააღმდეგ (ტყეების გაჩეხვა, გარემოს დაბინძურება, გლობალური დათბობის გამოწვევა) ქმნის კარმულ ვალს, რომლის „დაბალანსებაც“ საჭიროა.

2025 წლის კატასტროფები შეიძლება განვიხილოთ როგორც კოლექტიური გაკვეთილი, რომელიც კაცობრიობამ უნდა გაიაზროს და გააცნობიეროს პასუხისმგებლობა ბუნებასთან, ერთმანეთთან და საკუთარ სულიერ მხარესთან მიმართებაში.

ასტროლოგიური გავლენები და პლანეტარული ციკლები

ასტროლოგიურ დონეზე, 2025 წელს პლანეტარული განლაგებები ასახავს ტრანსფორმაციისა და ენერგეტიკული გარდატეხის პიკს.

პლუტონი – ტრანსფორმაციისა და განახლების პლანეტა, რომელიც ხშირად ასოცირდება ძველი სისტემების დაშლასა და ახალი სტრუქტურების შექმნასთან. მისი გავლენა ხშირად იწვევს კრიზისებს, რომლებიც საბოლოოდ ზრდის ადამიანების ცნობიერებას.

სატურნი – კარმისა და პასუხისმგებლობის პლანეტა, რომელიც ეზოთერულად გვახსენებს, რომ ყოველ ქმედებას მოჰყვება შედეგი. სატურნის გავლენა ნაახალისებს ადამიანებს, რომ სწორება სულიერებაზე, დისციპლინასა და პასუხისმგებლობაზე გააკეთონ.

ურანი – მოულოდნელობისა და რევოლუციის პლანეტა, რომელიც ხშირად იწვევს გლობალურ ცვლილებებს და ადამიანებს უბიძგებს არსებული სისტემების გადახედვისკენ.

კატასტროფები, როგორც გამოვლიების ზარი

ბევრ ეზოთერულ სწავლებაში ნათქვამია, რომ კატასტროფები ხშირად ხდება მაშინ, როდესაც კაცობრიობა კოლექტიურ დონეზე აჩერებს სულიერი ზრდის პროცესს. მაგალითად:

ბუნებრივი კატასტროფები შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც პლანეტის მცდელობა ბალანსის აღსადგენად.

სოციალური და ეკონომიკური კრიზისები კი შეიძლება გამოხატავდეს კოლექტიურ საჭიროებას ცვლილებებისთვის და არსებული სისტემების გააზრებისთვის.

ეს მოვლენები მიანიშნებს, რომ ადამიანებმა უნდა იფიქრონ არა მხოლოდ მატერიალურ საჭიროებებზე, არამედ საკუთარ სულიერ ზრდასა და ურთიერთკავშირზე ერთმანეთთან და სამყაროსთან.



გლობალური ცნობიერების ტრანსფორმაცია

კატასტროფები, ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, შეიძლება პოზიტიური ტრანსფორმაციის კატალიზატორად იქცეს. კაცობრიობა ხშირად აჩვენებს ერთიანობას და სოლიდარობას კრიზისის მომენტებში. ეს შეიძლება იყოს სიგნალი, რომ დროა, თითოეულმა ადამიანმა მეტი ყურადღება მიაქციოს სულიერ განვითარებას, რაც მედიტაციაში, შიდა მუშაობასა და კოლექტიური ცნობიერების ამაღლებაში მოიაზრება. აგრეთვე, გარემოს დაცვას, რადგან ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნა აუცილებელია პლანეტის ენერგეტიკული წონასწორობის აღსადგენად.

და ბოლოს, ურთიერთთანამშრომლობას: გლობალური პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა ერთიანობა, ნაცვლად კონკურენციისა.

ასე, რომ 2025 წლის ენერგიებთან ჰარმონიაში ყოფნისთვის საჭიროა:

1. შინაგანი ბალანსი: რეგულარული სულიერი პრაქტიკები, როგორცაა მედიტაცია, ლოცვა და იოგა, დაგეხმარებათ ენერგეტიკული ქაოსის გაკონტროლებაში.
2. ბუნებასთან კავშირი, რაც ნიშნავს ბუნებაში მეტი დროს გატარებას და მის რიტმებთან დაბრუნებას.
3. შეგნებული ცხოვრება: იყავით მეტი პასუხისმგებელი თქვენს ქმედებებზე, გარემოს და სხვებთან ურთიერთობაში.
4. გუნდური სული: კოლექტიური პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია თანამშრომლობა და კომპრომისებზე წასვლა.

2025 წლის კატაკლიზმები შეიძლება ჩაითვალოს როგორც ბუნებრივი და სოციალური ცვლილებების ნაწილი, თუმცა ეზოთერულად ისინი ბევრად ღრმა პროცესებს მიანიშნებენ. ეს არის სიგნალი კაცობრიობისთვის, რომ დროა გავლიერება, საკუთარი ქცევების გადაფასება და უფრო მაღალი ცნობიერების დონეზე გადასვლა.

მთავარია, ეს გამოწვევები მივიღოთ, როგორც შესაძლებლობა სულიერი ზრდისა და ტრანსფორმაციისთვის.